იCოდე
C ჰეპატიტი არ იცდის

დროულად ჩაერთე
C ჰეპატიტის
ელიმინაციის
პროგრამაში.

იCოდე ჰეპატიტზე გამოკვლევა და მკურნალობა უფასოა და ხელმისაწვდომია მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პროგრამაში ჩართვა მარტივია

1. დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე : 15 05/116 001 ან აირჩიეთ სასურველი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ცენტრი ვებგვერდზე: ncdc.ge
2. წინასწარ დაჯავშნეთ ვიზიტი ცენტრში
3. თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა
4. ჩაიტარეთ დიაგნოსტიკა და მკურნალობა უფასოდ

საკონტაქტო ინფორმაცია

15 05
116 001
c.moh.gov.ge
www.ncdc.ge
c ჰეპატიტი
hepatitis c

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯრიმების, აანგარიშებისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ჰეპატიტის მსოფლიო დღე

ჩვენ დეკემბრსნეთ C
HCPA
HEPATITIS C CURED PATIENT ASSOCIATION

#იCოდე #STOPC

#ჰეპატიტიარიCდის

იCოდე

C ჰეპატიტის
ელიმინაციის პროგრამა

როგორ ჩავერთოთ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში

საქართველოში, **2015 წლის 21 აპრილიდან** ხორციელდება C ჰეპატიტის ელიმინაციის, უპრეცენდენტო სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია ქვეყანაში C ჰეპატიტის ახალი შემთხვევების **ნულამდე დაყვანა-ელიმინაცია,** ინფიცირებულთა გამოვლენის, მათი მკურნალობისა და ფართომასშტაბიანი პრევენციული ღონისძიებების მეშვეობით.

#ჰეპატიტიარიCდის

01 სკრინინგული კვლევა

პირველ რიგში, ინფიცირების დასადგენად ტარდება სკრინინგული-კვლევა C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სწრაფი მარტივი ტესტით.

თითზე მსუბუქი ჩხვლეტით, 15 წუთში შეიძლება ინფიცირების სტატუსის დადგენა.

02 კონფირმაციული კვლევა

სკრინინგული კვლევით დადებითი პასუხის შემთხვევაში, პაციენტმა არ უნდა დააყოვნოს და აქტიური ინფექციის დასადგენად ჩაიტაროს კონფირმაციული (დამადასტურებელი) კვლევა, რომელიც ასევე უფასოა.

სკრინინგული კვლევა უფასოა და შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით არსებულ სამედიცინო და არასამედიცინო დაწესებულებებში, მათ შორის, იუსტიციის სახლებსა და ზიანის შემცირების ცენტრებში.

უარყოფითი პასუხის შემთხვევაში **სკრინინგული კვლევის ჩატარება რეკომენდებულია 6 თვეში ერთხელ.**

03 მკურნალობის წინა გამოკვლევები

აქტიური ინფექციის დადასტურების შემთხვევაში, ანტივირუსული მკურნალობის ჩასატარებლად, აუცილებელია პაციენტმა დროულად მიმართოს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას.

C ჰეპატიტის დროული გამოვლენა და მკურნალობა პაციენტს თავიდან ააცილებს ისეთ მძიმე გართულებებს, როგორიცაა **ღვიძლის ციროზი და კიბო.**

04 მკურნალობის დაწყება

პაციენტს ანტივირუსული მედიკამენტების მისაღებად შეუძლია აირჩიოს მისთვის სასურველი სამედიცინო დაწესებულება.
C ჰეპატიტის მკურნალობა ტარდება მარტივი, **სამთვიანი სქემებით-უახლესი თაობის მაღალეფექტიანი პრეპარატებით.**

დადასტურებულია, რომ **პრეპარატები უსაფრთხოა და მათ გამოყენებას გვერდითი მოვლენები პრაქტიკულად არ მოჰყვება.**

საქართველოში ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში

150 000 დაუდასტურდა ინფექცია

75 000 ჩაერთო

99% სრულიად განიკურნა